



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 239

ქალაქი ქუთაისი 24 თებერვალი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისში, გელათის ქუჩის № 32-ში არსებული  
საცხოვრებელი სახლის ფასადზე, ცნობილი არქიტექტორის,  
ამური ფხაკაძის მემორიალური დაფის /ზარელიეფით/  
განთავსების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივების დროებითი საქალაქო კომისიის 2015 წლის 13 ოქტომბრის სხდომის №57 ოქმის საფუძველზე:

**მუხლი 1.** განთავსდეს ქალაქ ქუთაისში, გელათის ქუჩის №32-ში არსებული საცხოვრებელი სახლის ფასადზე, ცნობილი არქიტექტორის, ამური ფხაკაძის მემორიალური დაფა /ზარელიეფით/ ოჯახის ხარჯებით.

**მუხლი 2.** მემორიალური დაფის ესკიზი და განთავსების ადგილი შეთანხმდეს მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურთან.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია